ოქმი:**ო31.31213441**
თარიღი:**10/12/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N20

ქ. ლანჩხუთი

3 დეკემბერი 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ბისიეშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის პირველი მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ბისიეშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი) მაკა სულაბერიძე, მედიის წარმომადგენლები.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად სხდომა გახსნა N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, **თამარ ბისიეშვილმა.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ახალარჩეულ საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობას გაუწევდა საკრებულოს უხუცესი წევრი **გიორგი ხელაძე.**

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ვერიკო კვირკველია.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო კანონით განსაზღვრული დღის წესრიგი:

1. N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება.

/მომხსენებელი: თამარ ბისიეშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი საკრებულოს კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

4. „2021 წლის 02 ოქტომბერს არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

16. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, **თამარ ბისიეშვილმა.** მან აღნიშნა, რომ 2021 წელს მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, განხორციელდა ხმის დათვლის პროცესის ვიდეოგადაღება, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით შეირჩა და გადაითვალა საარჩევნო უბნის შედეგები, რამაც უზრუნველყო პროცესის უფრო გამჭვირვალობა. ასევე, პანდემია ერთ-ერთი იყო იმ გამოწვევებს შორის, რომელიც 2021 წლის არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე იდგა და საარჩევნო ადმინისტრაციამ წარმატებით გაართვა თავი. ამას ადასტურებს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შეფასებაც, რომლის თანახმადაც არჩევნები იყო კარგად და პროფესიულ დონეზე ორგანიზებული, დაცული იყო კოვიდრეგულაციები.

ლანჩხუთის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 28432-ს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 16810 ამომრჩეველმა, რაც არის 59, 1 %.

პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 12 საარჩევნო სუბიექტმა, მერის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3, მაჟორიტარი კანდიდატები წარდგენილი ყავდა 7 საარჩევნო სუბიექტს.

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნებში ამომრჩეველმა აირჩია მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით საკრებულოს 27 წევრი, პირდაპირი წესით კი - მუნიციპალიტეტის მერი.

პროპორციული სისტემით მანდატები გადანაწილდა 4 საარჩევნო სუბიექტზე:

1. ორი მანდატი- „გახარია -,,საქართველოსთვის“:

1. ჯუმბერ ბლაგიძე
2. მაკა მშვიდობაძე

2. ოთხი მანდატი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

1. კახაბერ ასკურავა

2. გიორგი გოგუაძე

3. ირმა მგელაძე

4. გივი ცინცაძე

3. ერთი მანდატი - ,,ლელო“:

1. გოჩა ჯანაშია

4. თერთმეტი მანდატი - ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”:

1. კარლო წილოსანი

2. გიორგი იმნაიშვილი

3. ვერიკო კვირკველია

4. გიორგი ხელაძე

5. ვლადიმერ ნანაძე

6. ლოლიტა ურუშაძე

7. ნინო მშვიდობაძე

8. გოგი მორჩილაძე

9. დარეჯან ბურჭულაძე

10. სპარტაკ კვაჭაძე

11. ალექსანდრე მახათაძე

მაჟორიტარული წესით არჩეულ იქნა საკრებულოს 9 წევრი, რომელიც წარმოდგენილი იყო პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”-დან:

N61.01 - კარლო კვიტაიშვილი

N61. 02 - ემზარ თევდორაძე

N61. 03. - ზაზა წულაძე

N61. 04 - გიორგი ჩახვაძე

N61.05 - ელისო ჭიჭინაძე

N61. 06 - რევაზ კვერენჩხილაძე

N61. 07 - ბესიკ ტაბიძე

N61. 08 - ია მოქია

N61. 09 - კახა თედორაძე

პირდაპირი წესით არჩეულია მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, **თამარ ბისიეშვილმა** წარმოადგინა არჩევნების შემაჯამებელი ოქმები.

N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ბისიეშვილის მოხსენება საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ სამანდატო დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატები. საკრებულოს წევრმა ლოლიტა ურუშაძემ კომისიის წევრად დაასახელა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე, საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ - საკრებულოს წევრი ნინო მშვიდობაძე, საკრებულოს წევრმა ია მოქიამ- საკრებულოს წევრი ზაზა წულაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა სამანდატო დროებითი

კომისიის შემადგენლობის შესახებ განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N58 (03.12.2021 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი საკრებულოს კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მიმართა მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატურები. საკრებულოს წევრმა ია მოქიამ კომისიის წევრებად დაასახელა საკრებულოს წევრი დარჯან ბურჭულაძე და კარლო წილოსანი, საკრებულოს წევრმა გიორგი ჩახვაძემ - საკრებულოს წევრი გიორგი იმნაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობის შესახებ განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N59 (03.12.2021 წელი).

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ სამანდატო დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა ოქმი N1 (03.12.2021 წელი), რომლის თანახმად კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ელისო ჭიჭინაძე, მდივანი - ნინო მშვიდობაძე, წევრი - ზაზა წულაძე.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ წარმოადგინა ოქმი N1 (03.12.2021 წელი), რომლის თანახმად კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა - დარეჯან ბურჭულაძე, მდივანი - გიორგი იმნაიშვილი, წევრი - კარლო წილოსანი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „2021 წლის 02 ოქტომბერს არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** გამოაცხადა 10 წთ. შესვენება, რათა სამანდატო დროებითმა კომისიამ წარმოადგინოს დასკვნა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით სამანდატო დროებითი კომისიის თავმდჯომარემ **ელისო ჭიჭინაძემ** N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის მასალებზე დაყრდნობით წარმოადგინა დასკვნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, რომლის მიხედვით ცნობილ იქნა საკრებულოს 27 (ოცდაშვიდი) წევრის უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N60 (03.12.2021 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მიმართა საკრებულოს წევრებს, წარმოადგინონ განცხადებები საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების თაობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა 30 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯომარემ **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სამანდატო დროებითი კომისიას წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე მიზანშეწონილად მიაჩნია ცნობად მიიღოს ინფორმაცია საკრებულოს ფრაქციების შექმნის თაობაზე. ესენია:

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, რომელიც შედგება 20 წევრისგან:

თავმჯდომარე- ია მოქია

მოადგილეები:

ვლადიმერ ნანაძე

კარლო წილოსანი

ლოლიტა ურუშაძე

ნინო მშვიდობაძე

გოგი მორჩილაძე

სპარტაკ კვაჭაძე

მდივანი-კარლო კვიტაიშვილი

წევრები:

ბესიკ ტაბიძე

ემზარ თევდორაძე

ვერიკო კვირკველია

გიორგი ჩახვაძე

გიორგი ხელაძე

ალექსანდრე მახათაძე

ზაზა წულაძე

გიორგი იმნაიშვილი

დარეჯან ბურჭულაძე

ელისო ჭიჭინაძე

კახა თედორაძე

რევაზ კვერენჩხილაძე

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ :

თავმჯდომარე –კახაბერ ასკურავა

მოადგილე – გიორგი გოგუაძე

მდივანი – ირმა მგელაძე

წევრი-გივი ცინცაძე

ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“:

თავმჯდომარე–მაკა მშვიდობაძე

მოადგილე– გოჩა ჯანაშია

წევრი – ჯუმბერ ბლაგიძე

საკრებულოს ფრაქციების შექმნის თაობაზე ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ უნდა განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 27 წევრისგან. აქედან: 20 წევრი (74 პროცენტი) არის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, 4 წევრი (15 პროცენტი) – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ხოლო 3 წევრი ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ წევრი (11 პროცენტი).

2.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრულფასოვნად ფუნქციონირების მიზნით განისაზღვროს თითოეული კომისიის შემადგენლობა მაქსიმუმ 11 წევრით.

3.განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თითოეულ კომისიაში შემდეგნაირად:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“– კომისიის 8(რვა) წევრი;

ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“– კომისიის 2(ორი) წევრი;

გ) ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ – კომისიის 1(ერთი) წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N61 (03.12.2021 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** გამოაცხადა 30 წუთიანი შესვენება, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, არანაკლებ საკრებულოს სამმა წევრმა წარმოადგინოს საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურები, ხოლო ფრაქციებმა - კომისიის შემადგენლობები და შემადგენლობიდან კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურები. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საკრებულოს აპარატს, რათა შესაბამისი პროცედურები მოამზადოს.

საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **კახაბერ**

ასკურავა ფრაქციის სახელით შემოვიდა წინადადებით იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს გაცილებით გამჭვირვალე და გამართული მუშაობისთვის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე იყოს ოპოზიციის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დასახელდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის გიორგი გოგუაძის კანდიდატურა.

სხდომის განახლების შემდეგ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის ბესიკ ტაბიძის კანდიდატურა. ასევე, საკრებულოს წევრებმა გიორგი ჩახვაძემ, ნინო მშვიდობაძემ და ალექსანდრე მახათაძემ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს ბესიკ ტაბიძის კანდიდატურა.

საკრებულოს ფრაქციის ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ **მაკა მშვიდობაძემ** ფრაქციის სახელით საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ჯუმბერ ბლაგიძის კანდიდატურა.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს და უკმაყოფილება გამოთქვა ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ თვალს ადევნებდა საკრებულოს მიმდინარე წლის 25 ნოემბრის სხდომას. საკრებულოს წევრებისგან ზოგიერთი მათგანი 2006 წლიდან მოდიან ერთად და არასდროს არ ყოფილა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება მომხდარიყო ნოემბრის თვეში. საკრებულოს წევრისთვის გასაგებია ქვეყნის მასშტაბით განვითარებული მოვლენები და ისიც, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია სხვადასხვა მიზეზებმა, მაგრამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებით ოპოზიციის მხრიდან ნამდვილად არ შეიქმნებოდა რაიმე პრობლემა. მისთვის გაუგებარია, რატომ წაართვეს ოპოზიციის წარმომადგენლებს ელემენტარული უფლებამოსილება. საკრებულოს წევრის აზრით, ასეთი მიდგომა ერთგვარი უპატივცემულობის გამოხატულებაა, როგორც ოპოზიციის, ასევე ახალი მოწვევის საკრებულოს დანარჩენი წევრების მიმართ, რადგან ისინი არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ. საკრებულოს წევრმა ბოდიში მოუხადა საკუთარ ამომრჩეველს, რადგან ვერ მიიღო მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვაში. ის ასევე შეეხო საკრებულოს მიმდინარე წლის 25 ნოემბრის სხდომაზე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის კახაბერ ასკურავას მიერ პროტესტის გამოხატვის ფაქტს და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე არა მარტო პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს, არამედ ყველას აქვს პოლიტიკური პროტესტის გამოთქმის საშუალება. საკრებულოს წევრი ასევე გამოეხმაურა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩახვაძის კომენტარს და აღნიშნა, რომ კახაბერ ასკურავას მიერ გამოხატული პროტესტი იყო სრულიად ლეგიტიმური და მისაღები და არა დადგმული სპექტაკლი. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა მწუხარება გამოთქვა ღვაწლმოსილი პედაგოგის, დოდო კვირკვლიას გარდაცვალების გამო, რასაც შეუერთდა საკრებულოს ყველა წევრი.

საკრებულოს წევრმა **გიორგი ჩახვაძემ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის ირმა მგელაძის გამოსვლას არანაირი კავშირი არ აქვს დღევანდელი სხდომის დღის წესრიგთან.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელდა ორი კანდიდატურა: **ბესიკ ტაბიძე** და **ჯუმბერ ბლაგიძე.**

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს შესაბამისად საკრებულოს წევრებმა ბესიკ ტაბიძემ და ჯუმბერ ბლაგიძემ განაცხადეს თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ ფრაქცია საკრებულოს თავმჯდომარის არჩევაში მონაწილეობას არ მიიღებს.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 20 წუთით.

სხდომის განახლების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრების ბესიკ ტაბიძის და ჯუმბერ ბლაგიძის კანდიტატურების არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ **დარეჯან ბურჭულაძემ** სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N2 03.12.2021 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ბესიკ ტაბიძემ მიიღო 18 ხმა, ჯუმბერ ბლაგიძემ მიიღო 3 ხმა, 6 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად.

მიღებულ იქნა განკარგულება N62 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს ბესიკ ტაბიძეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეობა გააგრძელა **ბესიკ ტაბიძემ.** ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობის შედეგად მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ერთ ორგანიზმად არის ჩამოყალიბებული და ხელს უწყობს შედეგიან საქმიანობას, რაც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ნდობის გამოცხადებისთვის და აღნიშნა, რომ წინ ელით ღირსეული, საქმეზე ორიენტირებული მუშაობა. თითოეულ მათგანს უსურვა წარმატებები და ნაყოფიერი საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე მადლობა გადაუხადა მერიის სამსახურებს, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებს, განსაკუთრებით ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს, რომელიც ყველა კუთხით ძალიან დიდ საქმეს აკეთებს, წინა მოწვევის საკრებულოს, საკრებულოს აპარატის უფროსს ნინო ძიძიგურს, რომელსაც აპარატის გამართული მუშაობისთვის არაერთი მადლობა აქვს მიღებული მთავრობის ადმინისტრაციიდან და თანამშრომლებს, რომელთაც კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი საქმიანობით თავიანთი წვლილი შეაქვთ და უზრუნველყოფენ საკრებულოს გამართულ მუშაობას.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** მიულოცა ბესიკ ტაბიძეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა და საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების ცნობა. გარდა ამისა, როგორც საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ წევრმა, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის იმ ამომრჩევლებს, რომელთაც ხმა მისცეს პატიას ,,გახარია-საქართველოსთვის“. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრი შეეხო მიმდინარე წლის 25 ნოემბერს საკრებულოს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის მიღების საკითხს და აღნიშნა, რომ 2006 წლიდან არასდროს არ ყოფილა პრეცენდენტი, რომ წინა მოწვევის ოთხი წლით არჩეულ საკრებულოს მიეღოს მეხუთე წლის ბიუჯეტი. საარჩევნო პერიოდში ისინი მოსახლეობისგან ღებულობდნენ მოთხოვნებსა თუ შენიშვნებს და ასევე გასცემდნენ გარკვეულ დაპირებებს, რისი უფლებაც მათ ამ ქმედებით წაერთვათ.

საკრებულოს წევრმა იცის, რომ საკრებულოს თავჯდომარის ბესიკ ტაბიძის ყოველთვის სამართლიანი დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ზემდგომი ხელისუფლების მიერ, რაც არასწორი მიდგომაა, როგორც ახალი მოწვევის საკრებულოს, ასევე მოსახლეობის მიმართაც. თავის მხრივ, საკრებულოს წევრი დებს პირობას, რომ საკრებულოში მისი მოღვაწეობა იქნება კოლეგიალური და თანამდგომი, ასევე, აქტიურად ჩაერთვება საკრებულოს და კომისიების სხდომებზე სხვადასხვა საკითხებში.

საკრებულოს წევრმა **გიორგი ჩახვაძემ** კითხვით მიმართა საკრებულოს წევრს ჯუმბერ ბლაგიძეს, რატომ არ წარმოადგინა შენიშვნები და წინადადებები მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვებზე.

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, სახელისუფლებო ძალის გარდა ყველა უარყოფითად აფასებს ამ ქმედებას, რაც შეეხება საკრებულოს წევრის გიორგი ჩახვაძის მიდგომას, ეს არის დემაგოგია და ყველა დროის საკუთარ თავზე მორგება.

სხდომაზე გამცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** მადლობა გადაუხადა კოლეგებს, რომელთაც მისი კადიდატურა წამოაყენეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარის თანამდებობაზე, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. ასევე, მადლობა გადაუხადა საკუთარ ამომრჩეველს გამოცხადებული ნდობისთვის. ამის შემდეგ შეეხო მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას და აღნიშნა, რომ ასეთ პრეცენდენტს აქამდე ადგილი აქ ჰქონია და ხელისუფლება ასე სპეციალურად მოიქცა, რადგან რომელიღაც მუნიციპალიტეტში პრობლემები შეექმნებოდა. აქედან გამომდინარე, მან ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ ისინი

დაიწყებენ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის განხილვას, რომელზეც მოიწვევენ მუნიციპალიტეტის მერს, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და ყველა ა(ა)იპ-ის, ასევე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს. შედეგად, ერთი თვის ვადაში ფრაქცია შემოიტანს კონკრეტულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რაც სოციალური ქსელის საშუალებით მოსახლეობისთვისაც გახდება ცნობილი. ამის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარის ყველა მოადგილეს და კომისიის თავმჯდომარეებს წინასწარ მიულოცა არჩევა და აღნიშნა, რომ აქვს მათთან ძალიან კონსტრუქციული მუშაობის სურვილი. საკრებულოს წევრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას და კოლეგებს უსურვა წარმატებები, რის შემდეგ საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გიორგი გოგუაძემ და ირმა მგელაძემ საკრებულოს სხდომა დატოვეს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში მიულოცა ხალხის ნდობის გამოცხადება როგორ უმრავლესობის წევრებს, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებს. უსურვა მათ წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებით არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ის, თუ რომელ პერიოდში მოხდებოდა მისი დამტკიცება. ასევე, არანაირი დავალება არ ყოფილა ხელისუფლების მხრიდან ამასთან დაკავშირებით და ეს არის აბსოლიტური სიცრუე. არც ერთ ოპოზიციურ ფრაქციას და არც უმრავლესობას ბიუჯეტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიაში შენიშვნა არ შემოუტანია. გარდა ამისა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა ერთ-ერთი ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენელი ამირან გიგინეიშვილი, რომელსაც ბიუჯეტთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამს. რაც შეეხება თანამშრომლობას, თავის მხრიდან პირადად მზად არის ითანამშრომლოს ყველასთან და ნებისმიერ ვითარებაში.

საკრებულოს წევრის **ალექსანდრე მახათაძის** განცხადებით, საკრებულოს წევრი კახაბერ ასკურავა ოპოზიციური ფრაქციის წევრი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და არ მიუღია მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვაში. აქედან გამომდინარე, ეთანხმება საკრებულოს წევრის გიორგი ჩახვაძის კომენტარს კახაბერ ასკურავას მიერ გამოთქმულ პროტესთან დაკავშირებით, რომელსაც დადგმული სპექტაკლი უწოდა. საკრებულოს წევრის **ალექსანდრე მახათაძის** განცხადებით, აქამდე არც იმის პრეცენდენტი ყოფილა, რომ მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლებიდან მილიონი ლარი მიმართული ყოფილიყო ინფრასტრუქტურული კუთხით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ საკრებულოს წერმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დატოვება პროტესტის ნიშნად ეს არის ჩვეულებრივად პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი და კონსტიტუციით მონიჭებული უფლება, რომლის გამოყენება მსახიობობა არ არის. გარდა ამისა, ოთხი წლით არჩეულმა საკრებულომ მიიღო მეხუთე წლის ბიუჯეტი. საკრებულოს წევრისთვის გაუგებარი და მიუღებელია მის მიმართ გამოთქმული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ღებულობდა მონაწილეობას ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვაში. იმ დროს, როდესაც წინა მოწვევის საკრებულო განიხილავდა აღნიშნულ პროექტს, მაშინ ის მონაწილეობდა ყოფილი პრეზიდენტის ციხეში ყოფნასთან დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციებში.

სხდომა დატოვეს საკრებულოს წევრებმა კახაბერ ასკურავამ და გივი ცინცაძემ.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა საკრებულოს წევრის **ემზარ თევდორაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა ემზარ თევდორაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

სხდომის განახლების შემდეგ საკრებულოს ფრაქციის ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ფრაქციის სახელით გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ფრაქციის მიერ წამოყენებული არც ერთი წინადადება არ იქნა

გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, ფრაქციის წევრები კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ემზარ თევდორაძის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N3 03.12.2021 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ემზარ თედორაძემ მიიღო 20 ხმა, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N63 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს ემზარ თევდორაძეს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარეს ყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა საკრებულოს წევრის **ვერიკო კვირკველიას** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა ვერიკო კვირკველიამ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ გამოაცხადა 10 წუთით შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ვერიკო კვირკველიას კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N4 03.12.2021 წელი), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად საკრებულოს წევრმა ვერიკო კვირკველიამ მიიღო 18 ხმა, 2 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი **ვერიკო კვირკველია.**

მიღებულ იქნა განკარგულება N64 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს ვერიკო კვირკველიას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა საკრებულოს წევრის **გიორგი ჩახვაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა გიორგი ჩახვაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ გამოაცხადა 10 წუთით შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის გიორგი ჩახვაძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N5 03.12.2021 წელი), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად საკრებულოს წევრმა გიორგი ჩახვაძემ მიიღო 19 ხმა, 1 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი **გიორგი ჩახვაძე.**

მიღებულ იქნა განკარგულება N65 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს გიორგი ჩახვაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულომ პროცედურულად ცნობად უნდა მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები.

სხდომის განახლების შემდეგ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმდჯომარემ **ელისო ჭიჭინაძემ** სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა ცნობად იქნეს მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა, კერძოდ:

1. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია:

ა) გიორგი ხელაძე;
ბ) ნინო მშვიდობაძე;
გ) ია მოქია;
დ) დარეჯან ბურჭულაძე;
ე) კარლო წილოსანი;
ვ) კახა ასკურავა;
ზ) მაკა მშვიდობაძე.

2. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

ა) კარლო კვიტაიშვილი;
ბ) ნინო მშვიდობაძე;
გ) დარეჯან ბურჭულაძე;
დ) რევაზ კვერენჩხილაძე;
ე) ელისო ჭიჭინაძე;
ვ) ლოლიტა ურუშაძე;
ზ) კარლო წილოსანი;

თ) ირმა მგელაძე;
ი) მაკა მშვიდობაძე;
კ) გოჩა ჯანაშია.

3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:

ა) გიორგი იმნაიშვილი;
ბ) ელისო ჭიჭინაძე;
გ) სპარტაკ კვაჭაძე;
დ) ემზარ თევდორაძე;
ე) ზაზა წულაძე;
ვ) კახა თედორაძე;
ზ) ლოლიტა ურუშაძე;
თ) გივი ცინცაძე;
ი) გიორგი გოგუაძე;
კ) ჯუმბერ ბლაგიძე.

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

ა) ალექსანდრე მახათაძე;
ბ) ია მოქია;
გ) გიორგი ჩახვაძე;
დ) სპარტაკ კვაჭაძე;
ე) კახა თედორაძე;
ვ) ვლადიმერ ნანაძე;
ზ) გიორგი გოგუაძე;
თ) ჯუმბერ ბლაგიძე;

5. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

ა) ზაზა წულაძე;
ბ) ალექსანდრე მახათაძე;
გ) კარლო კვიტაიშვილი;
დ) გიორგი იმნაიშვილი;
ე) ვლადიმერ ნანაძე;
ვ) გიორგი ჩახვაძე;
ზ) გივი ცინცაძე;
თ) კახა ასკურავა;
ი) გოჩა ჯანაშია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N66 (03.12.2021 წელი).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, კომისიის შემადგენლობიდან უნდა დასახელდეს კანდიდატურები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის **გიორგი ხელაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა გიორგი ხელაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის გიორგი ხელაძის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N6 03.12.2021 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი ხელაძემ მიიღო 20 ხმა, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N67 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს გიორგი ხელაძეს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის **ალექსანდრე მახათაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის ალექსანდრე მახათაძის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N7 03.12.2021 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ მიიღო 19 ხმა, 1 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N68 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს ალექსანდრე მახათაძეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის **ზაზა წულაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა ზაზა წულაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის ზაზა წულაძის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N8 03.12.2021 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ზაზა წულაძემ მიიღო 20 ხმა, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N69 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს ზაზ წულაძეს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის **კარლო კვიტაიშვილის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა თანხმობა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის კარლო კვიტაიშვილის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N9 03.12.2021 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კარლო კვიტაიშვილმა მიიღო 19 ხმა, 1 ბიულეტენი

ცნობილ იქნა ბათილად, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N70 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს კარლო კვიტაიშვილს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის **გიორგი იმნაიშვილის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა გიორგი იმნაიშვილმა განაცხადა თანხმობა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის გიორგი იმნაიშვილის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N10 03.12.2021 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი იმნაიშვილმა მიიღო 20 ხმა, საკრებულოს 3 წევრმა (მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N 71 (03.12.2021 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს გიორგი იმნაიშვილს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე ახალარჩეულ
საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

3 დეკემბერი **2021** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11⁰⁰	
2	ვლადიმერ ნანაძე	11⁵⁰	
3	ვერიკო კვირკველია	12.01	
4	ალექსანდრე მახათაძე	10¹⁰	
5	გიორგი ჩახვაძე	11 20წთ.	
6	ემზარ თევდორაძე	11⁰⁰	
7	გოგი მორჩილაძე	12.00	
8	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
9	ზაზა წულაძე	11⁵⁰	
10	კარლო კვიტაიშვილი	11⁰⁵	
11	ელისო ჭიჭინაძე	11⁵⁰	
12	რევაზ კვერენჩხილაძე	10⁵⁵	
13	კახა თედორაძე	10⁵⁵	
14	კარლო წილოსანი	11⁰⁰	
15	ია მოქია	11:50	
16	გიორგი იმნაიშვილი	11:53	
17	გიორგი ხელაძე	11⁵⁰	
18	ლოლიტა ურუშაძე	11:40	
19	ნინო მშვიდობაძე	11:50	
20	დარეჯან ბურჭულაძე	11:50	
21	კახაბერ ასკურავა	11:47	
22	გიორგი გოგუაძე	11.48.	
23	ირმა მგელაძე	11⁰⁰	

24	გივი ცინცაძე	11:50	
25	ჯუმბერ ბლაგიძე	11:50	
26	მაკა მშვიდობაძე	11:40	
27	გოჩა ჯანაშია	11:45	